

ბუნების ცნება ალფრედ ნორთ უაიტჰედის ფილოსოფიაში  
დიალოგი უახლეს ფიზიკასთან

ლუკა კუჭუხიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ლადარია,  
ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
თბილისი, 2019

*როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

*ლუკა კუჭუხიძე*

*24.06.2019*

## აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსისა და მათემატიკოსის ალფრედ ნორთ უაიტჰედის პროცესუალური ფილოსოფიის სააზროვნო ქვაკუთხედი, რომელსაც შეადგენს ბუნების პრობლემა.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ერთი მხრივ, წარმოაჩინოს, ამოიკითხოს და თანამედროვე კონცეპტუალური პრიზმიდან გადაიაზროს უაიტჰედის მასშტაბური მეტაფიზიკური პროექტის საფუძველში მდებარე ეს პრობლემა და მასთან დაკავშირებული ძირეული ფილოსოფიური საკითხები, ხოლო, მეორე მხრივ, მოაზროვნის თამამ მიგნებათა დახმარებით და მათ კვალდაკვალ, თანამედროვე მეცნიერების გამოცდილების კონტექსტში ისაუბროს ბუნების ცნების ფილოსოფიური გადააზრების ახალ შესაძლებლობებზე.

ნაშრომი ორ თავადაა წარმოდგენილი. პირველი თავი უაიტჰედის ფილოსოფიის ზოგად აღწერას ეთმობა და იმ ინტელექტუალურ და ზოგადკულტურულ გავლენებს მიმოიხილავს, რომელთა მეშვეობითაც მოაზროვნე ბუნების პრობლემას უახლოვდება. მასში წარმოდგენილია უაიტჰედის ინტელექტუალური განვითარების გზა, რაც ფილოსოფოსის მიერ ფილოსოფიისაკენ აღებული გეზის საილუსტრაციო ფუნქციას ასრულებს. ამასთან ერთად, მასში ის ფილოსოფიური თუ სამეცნიერო გავლენებია განსაკუთრებულად ხაზგასმული, რომელთა გათვალისწინების გარეშეც რთული გახდებოდა ბუნების უაიტჰედისეული ხედვის სრულფასოვნად და ჯეროვნად გაანალიზება.

მეორე თავი, ორ ქვეთავადაა წარმოდგენილი. პირველი მათგანი ბუნების ბიფურკაციული სქემის ისტორიას ეძღვნება, რომლის ფარგლებშიაც ნაჩვენებია ამ ლოგიკის არსში განთავსებული დოქტრინა პირველადი და მეორადი თვისებების შესახებ. ეს თეორია ჩანასახოვანი ფორმით თავდაპირველად არსიტოტელესთან ჩნდება. გალილეოს და დეკარტის მიერ კი, ამ სწავლების სრული აბსოლუტიზაცია ხორციელდება, რომლის შედეგადაც ბუნება ნელ-ნელა ორ რადიკალურად

გამიჯნულ სივრცედ, სუბიექტურად და ობიექტურად მოაზრებულ სისტემებად იყოფა. უაიტჰედის კრიტიკაც, სწორედ ამ კონცეფციის გარშემოა აგებული. რაც შეეხება მეორე ქვეთავს, ის სრულებით ეძღვნება მოაზროვნის ურთიერთობას უახლესი ფიზიკის ორ ძირითად თეორიასთან: ფარდობითობის თეორიასა და კვანტურ მექანიკასთან. ორივე ამ სწავლებას, უაიტჰედი საკუთარი ბუნების ხედვის ჩამოყალიბებისათვის იყენებს, ხედავს რა მათში ნიუტონის აბსოლუტური დრო-სივრციდან გასვლის შესაძლებლობას. ამ თეორიებთან დაწყებული მუდმივი კრიტიკური დიალოგის კვალდაკვალ, მოაზროვნე ბევრად უფრო პრობაბილისტური სახის მქონე, ორგანიცისტული ბუნებითი სქემის განვითარებას იწყებს.

საკვანძო სიტყვები: უაიტჰედი, ბუნება, ბიფურკაცია, ფიზიკა, პროცესი.

## Abstract

This paper explores the fundamental concept of nature and its place in the process-philosophical work of a famous English philosopher and mathematician – Alfred North Whitehead.

The main purpose of this study is, on the one hand to illustrate, read closely and analyze from the point of view of the modern conceptual framework, the basic problem of nature in Whitehead's metaphysical project and, on the other hand, with the help of philosopher's courageous insights – to envisage new philosophical understanding of nature, within the experiences of modern science.

The paper includes two chapters. The first one mainly illustrates the intellectual and cultural influences, which Whitehead uses for building his system of nature. The second chapter is divided in two subchapters, the first of which is a study of the concept of bifurcation of nature and its role in history of ideas. At the cornerstone of this doctrine lies a philosophical concept of primary and secondary qualities. We can see the first glimpses of this idea already in Aristotle, but later on, with the help of Galilei and Descartes, it took a much more absolutist stance. The result of its radicalisation is a bifurcation of nature in two distinct spheres: subjective and objective realms. Whitehead develops his critique against this doctrine.

The second subchapter is wholly dedicated to the two great systems of the 20<sup>th</sup> century physics: relativity theory and quantum mechanics. Both of these approaches have had a deep influence on Whitehead's thinking. Because he sees in them a potency to abandon the Newtonian absolutist space and time, Whitehead starts to use their knowledge to construct his own philosophy of nature. Alongside critical dialogue with these schemes, Whitehead gradually develops a probabilistic and quite unique organic conception of nature.

Key words: Whitehead, Nature, Bifurcation, Physics, Process.

## მადლობა

თემაზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისათვის, კონსულტაციებისა და რჩევებისათვის მადლობას ვუხდით ჩემს სამეცნიერო-აკადემიურ ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ელენე ლადარიას.